


იდიომური გამოთქმების ლექსიკურ-გრამატიკული სინონიმისათვის

ცნობილია, რომ სინონიმია შეიძლება იყოს როგორც ა) ლექსიკური, ისე ბ) გრამატიკული. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა ლექსიკურ-გრამატიკული (მორფოლოგიური და სინტაქსური) სინონიმის კვლევა იდიომურ გამოთქმებში. ცნობილია, რომ იდიომი, ჩვეულებრივ, შედგება ერთიანი მნიშვნელობით შეკრული რამდენიმე კომპონენტისაგან, რომლებიც, თავის მხრივ, შეიცავს ძირითად კომპონენტსა და მასზე დამოკიდებულ ერთეულებს. მოხსენებაში სისტემურად განიხილება პარადიგმატული სინონიმის საკითხი, კერძოდ, იდიომის შემადგენელი კომპონენტების სისტემური სინონიმური ურთიერთობა გრამატიკული და ლექსიკური თვალსაზრისით.

კვლევისას ყურადღება მიექცა ერთ მნიშვნელოვან კანონზომიერებას: შესწავლილ იდიომებს ლექსიკური სინონიმის თვალსაზრისით აქვთ მსგავსი, ოღონდ ოდნავ განსხვავებული კონოტაცია. ანალოგიური ფაქტი შეინიშნება იდიომების გრამატიკული სინონიმის კვლევის დროს. მაგ.: **ბუზსაც ვერ აუფრენს**<sup>1</sup> – ვერაფერს გაუბედავს; **ბუზსაც ვერ ააფრენს**<sup>2</sup> – ვერაფერს გაბედავს; მაგრამ არ არსებობს ფორმა **\*ბუზსაც ვერ აიფრენს**. შესაბამისად, ვიღებთ შემდეგ სინონიმურ სქემებს:



შესაბამისად, ლექსიკურადაც და გრამატიკულადაც გვაქვს თითქმის მსგავსი სინონიმური რიგები, რომელთა შორის არსებული ლექსიკური სხვაობა დამოკიდებულია გრამატიკულ სხვაობაზე.


ჩატარებული კვლევის საფუძველზე ვლინდება ზმნის ქცევაზე დამოკიდებული სამი ტიპის სინონიმური რიგი: ნეიტრალური, სასუბიექტო და საობიექტო. ქართული ზმნის გრამატიკული კატეგორიების სიმრავლის კვალობაზე, ზმნური იდიომების სტრუქტურა ავლენს ლექსიკურ-გრამატიკული პარადიგმების ლაბილურობას.

<sup>1</sup> – ყაზარასთანები იმას **ბუზსაც ვერ აუფრენენ**; ვისთანაც გასვლია თავისი მიქარვები, ნენესთან ვერ გაუვა” (ს.მგალობ. “დემეტრეს სახლობა”)  
<sup>2</sup> “თვით მამასახლისიც, როგორც ნასწავლ კაცს, მღვდლის შვილს და აზნაურს, პატივსა სცემდა და რჩევასაც ჰკითხავდა ხოლმე. უიმისოდ **ბუზსაც ვერ ააფრენდა**“ (შ.არაგვ. “და-მმა”)  
<sup>3</sup> შემოკლებანი: კომპ. - კომპონენტი, ძირ. - ძირითადი, დამოკ. - დამოკიდებული, არს. - არსებითი სახელი, მიც. - მიცემითი ბრუნვა.

## On the Lexical-Grammatical Synonymy (Cohesion)

It is well known that synonymy can be both a) lexical, and b) grammatical. Thus, the issue of lexico-grammatical (morphological and syntactical) synonymy should be considered while studying idiomatic expressions. An idiom consists of several (two or more) components with general meaning, which can be subdivided into main and subordinated components. The paper presents an attempt of systematic description of the paradigmatic synonymy of some idiomatic expressions, especially, the grammatical and lexical cohesion of general synonymic rows between the components of idiom.

In this study the attention is paid to the following regularity: from the viewpoint of lexical synonymy – the idioms in question have similar meaning with slightly different connotations. The analogous fact was noted concerning the grammatical synonymy of idioms. E.g. **ბუზსაც ვერ აუფრენს**<sup>4</sup> – smb. wouldn't dare to harm anybody; **ბუზსაც ვერ ააფრენს**<sup>5</sup> – smb. wouldn't dare to do anything, but we have not any form like the following: \***ბუზსაც ვერ აიფრენს**. Thus, we get the following synonymic schemes:



Generally, there are similar synonymic rows both lexically and grammatically, but, at the same time; the existing lexical difference depends on the grammatical difference between the idiomatic expressions.

On the basis of this study, we have determined three types of synonymic lines depended on the version markers of Georgian verb: neutral, subjective and objective. Taking into account a great number of diverse grammatical categories of Georgian verb, the structure of verbal idioms reveal lability of lexical-grammatical paradigms.

<sup>4</sup> “- ყაზარასთანები იმას **ბუზსაც ვერ აუფრენენ**; ვისთანაც გასვლია თავისი მიქარვები, ნენესთან ვერ გაუვა” (ს.მგალობ. “დემეტრეს სახლობა”)

<sup>5</sup> “თვით მამასახლისიც, როგორც ნასწავლ კაცს, მღვდლის შვილს და აზნაურს, პატივსა სცემდა და რჩევასაც ჰკითხავდა ხოლმე. უიმისოდ **ბუზსაც ვერ ააფრენდა**“ (შ.არაგვ. “და-ძმა”)

<sup>6</sup> Abbreviations: Comp. – Component; Main – Main Component, Subord. – Subordinate Component, Dat. – Dative, Emph. – Emphatic Vowel.